რაჭის ლანდშაფტური მდგრადობა და სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები

სალომე გობეჯიშვილი

ელ-ფოსტა: salome.gobejishvili479@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისამათი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 1

სამაგისტრო ნაშრომი ეხება ერთ-ერთი ყველაზე მრავალფეროვანი ლანდშაფტის მქონე რეგიონის, რაჭის სოფლის მეურნეობას, მის პოტენციალსა და პერსპექტივებს. მასში განხილულია დღეს არსებული მდგომარეობა და გამოყოფილია პრიორიტეტული დარგები რეგიონის სოფლის მეურნეობის მიმართულებებს შორის.

ნაშრომი შედგება სამი თავისგან, პირველ თავში აღწერილია რეგიონის ბუნებრივი მრავალფეროვნება, ნიადაგ-მცენარეული საფარი, ჰავა და შიგა წყლები, ლანდშაფტები, რომლებიც სახეშეცვლილია ბუნებრივი და ანთროპოგენული ფაქტორებით.

მეორე თავი ეძღვნება სოფლის მეურნეობას, კერძოდ რეგიონის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებას, სადაც შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტია დასაქმებული. მიმოხილულია ძირითადი დარგების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

მესამე თავი მოიცავს რეგიონის სტიქიურ პროცესებს, ვინაიდან რაჭა მთიანი რეგიონია, მდებარეობს მდინარე რიონისა და მისი შენაკადების ხეობაში, აქ განვითარებულია ყველა ბუნებრივი სტიქიური პროცესი: მიწისძვრა, მეწყერი, ღვარცოფი, ეროზია, წყალდიდობა, წყალმოვარდნა, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ყველა დარგს მათ შორის სოფლის მეურნეობას.

ბოლოს მოცემულია დასკვნა და რეკომენდაციები. კვლევის პროცესში გამოყენებულია მრავალკომპონენტური მეთოდი, კვლევა დაფუძნებულია, როგორც პირველადი, ასევე მეორადი ინფორმაციის ანალიზზე.